ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4751265

ნომერი: AR1716910

თარიღი : 05.11.2019

გაცემის თარიღი : 14.11.2019

გაცნობის თარიღი : 14.11.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მარი პ/ნ 01005000001
- თბილისი, ლუბლიანას ქ. #11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის

05 ნოემბერს NAR1716910 განცხადებით მომართა მიხეილ მარიმ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა ბელიაშვილი , N 2-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.13.02.010.085), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსის მე-6 ბლოკის (მრავალფუნქციური შენობა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 02 აგვისტოდან 2021 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით..
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 21769.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 21700.5 კვ.მ., საოფისე ფართობი 660.7 კვ.მ-ის ნაცვლად 656.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2739.2 კვ.მ-ის ნაცვლად 2813.3 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 5154.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5165.9 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 4218.9 კვ.მ-ის ნაცვლად 4219.4, საერთო ფართობი 38070.4 კვ.მ-ის ნაცვლად 38083.2 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით იცვლება გეგმარება. კერძოდ, მე-2 სართულის გეგმაზე „თ-კ“ და „10-9“ ღერძებში შეცვლილია კედლის მდებარეობა. ასევე, მე-6 სართულის გეგმაზე ბინა 21-ში, „2.1-4“ მონაკვეთში დატანილია კარი. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. გეგმარების ცვლილება საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 02 აგვისტოს №4615285 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.